შპს „ტექნოლოგი“

ს/კ 412760196 ქ. ქუთაისი, სულხან-საბას გამზ. N33 ბ-7. ტელ. 598 15 94 15

„--21--„ -ოქტომბერი- „ 2021 წ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

თქვენი 14/09/2021 წ. N9670/01 წერილის შესაბამისად, რომელიც ეხებოდა ჩვენს მიერ 2021 წლის 27 აგვისტოს N15375 წერილით წარმოდგენილი სკრინინგის განაცხადის შენიშვნებს, განგიმარტავთ შემდეგს:

დაგეგმილი გვაქვს ქვიშა-პოლიმერული მასალისაგან სხვადასხვა ტექნიკური დანიშნულების ნაკეთობების წარმოება, როგორიცაა საკანალიზაციო ჭის თავები, მრიცხველის ტექნიკური კარადები. ნედლეულად გამოყენებული იქნება მეორადი პოლიპროპილენი (გრანულების და ე.წ. ჩიფსების სახით), რომელიც შესყიდული იქნება ბაზარზე მწარმოებლებისაგან.

საქმიანობის განსახორციელებლად ტექნიკური დანაგარები შევიძინეთ შპს „თორი“-საგან (ს/კ 412728384), რომელსაც ანალოგიური ტიპის საწარმო მოწყობილი ჰქონდა ქ.ქუთაისში ახალგაზრდობის გამზირზე, ყოფილი სატრაქტორო ქარხნის ტერიტორიაზე. ამ უკანასკნელს ნედლეული შესყიდული ჰქონდა ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე არსებული კომპანია შპს „ფრეშ-ჯორჯია“-საგან და დარჩენილი აქვს ნაშთის სახით. ნედლეული ნაწარმოებია კორეული კომპანია „sk global chemical“ -ის მიერ, სასაქონლო კოდი - 39159011 -Prop პროპილენის პოლიმერები. ტექნოლოგიურ დაადგარებთან ერთად გამოვისყიდეთ პოლოიპროპილენის ნედლეულიც (წარმოგიდგენთ ნედლეულის შეყიდვა-გამოსყიდვის ზედნადებებს).

დამატებით განცობებთ, რომ შპს „თორი“ 2020 წელს შემოწმებული იქნა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, რადგან ნედლეულად იყენებდა მეორად პოლიპროპილენს, სამინისტროს 10.08.2020 N7644/01 და 07/02/2020 წ. N1478/01 წერილებით მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე დაჯარიმდა სკრინინგის გარეშე საქმიანობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით საქმიანობის დაწყებამდე ჩვენს მიერ მომზადდა სკრინინგის განაცხადი.

წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნულისა და თქვენი 14/09/2021 წ. N9670/01 წერილის შესაბამისად დაზუსტებულ სკრინინგის განაცხადს.

გთხოვთ განიხილოთ.

დანართი: სკრინინგის განაცხადი და ელ. ვერსია.
ნედლეულის შესყიდვის დოკუმენტაცია;
სამინისტროს 10.08.2020 N7644/01 და 07/02/2020 წ. N1478/01 წერილები,

პატივისცემით
ლ. ბერეჩიკიძე
დირექტორი

№ 18988
"22" 10 2021